

შპს „მეიჯერელ საქართველო“

2021 წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს „KPMG Georgia“

მე-5 სართული, GMT პლაზა

მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)

თბილისი, საქართველო 0105

ს/კ 404437695

ტელეფონი +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „მეიჯერელ საქართველო“-ს მესაკუთრეს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მეიჯერელ საქართველოს“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ასევე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებს და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში „IESBA“ კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს ჩვენი მოსაზრებისთვის საკმარის და შესაფერის საფუძველს.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი მოსაზრება, ფინანსური ანგარიშგების შესახებ, არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობითი ანგარიში და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და შესაბამისობის შემთხვევაში, მოახდინოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული საკითხების წარდგენა და აღრიცხვის საფუძველად გამოიყენოს ფუნქციონირებადობის პრინციპი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას, ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.

- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების შესაფერისობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნი, აქვს თუ არა ადგილი არსებით განუსაზღვრელობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნი, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის სამართლიანად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ვახტანგ კეჟერაძე

შპს "KPMG Georgia"
თბილისი, საქართველო
7 ივლისი, 2022 წელი

- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების შესაფერისობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით განუსაზღვრელობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვეყნე დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედეგის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის სამართლიანად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ვახტანგ კეჟერაძე



შპს "KPMG Georgia"
თბილისი, საქართველო
7 ივლისი, 2022 წელი



'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	30,149	15,961
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	10	654	1,712
არამატერიალური აქტივები		435	520
აქტივები გამოყენების უფლებით	16	24,593	10,785
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1,374	530
სულ გრძელვადიანი აქტივები		57,205	29,508
მიმდინარე აქტივები			
გადახდილი ავანსები		700	325
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	27,318	22,892
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	34,564	10,387
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები	19	154	-
სულ მიმდინარე აქტივები		62,736	33,604
სულ აქტივები		119,941	63,112
კაპიტალი			
	13(a)		
საწესდებო კაპიტალი		1,810	1,810
გაუნაწილებელი მოგება		56,418	35,589
სულ კაპიტალი		58,228	37,399
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	16	20,042	13,238
ანარიცხები	18	1,816	2,011
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		21,858	15,249
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	16(b)	-	53
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	30,686	5,249
საიჯარო ვალდებულებები	16	7,483	4,596
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები	19	153	-
ანარიცხები		1,533	566
სულ მიმდინარე ვალდებულებები		39,855	10,464
სულ ვალდებულებები		61,713	25,713
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		119,941	63,112

შპს „მეიჯერელ საქართველო“
2021 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	5	173,376	100,248
პერსონალის ხარჯები	6	(81,660)	(45,695)
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(35,811)	(21,043)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9	7,688	8,539
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	10, 16	(10,782)	(7,478)
საოპერაციო მოგება		52,811	34,571
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯები)	8	2,274	(5,522)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		55,085	29,049
მოგების გადასახადის ხარჯი	13(b)	(5,156)	-
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		49,929	29,049

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 7 ივლისს და მისი სახელით ანგარიშგებას ხელს აწერს:

ალექსანდრე მირონენკო
 დირექტორი


ირაკლი ბაიაძე
 ფინანსური დირექტორი


მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-41 გვერდებზე.

შპს „მეიჯერელ საქართველო“
2021 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	5	173,376	100,248
პერსონალის ხარჯები	6	(81,660)	(45,695)
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(35,811)	(21,043)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	9	7,688	8,539
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	10, 16	(10,782)	(7,478)
საოპერაციო მოგება		52,811	34,571
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯები)	8	2,274	(5,522)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		55,085	29,049
მოგების გადასახადის ხარჯი	13(b)	(5,156)	-
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		49,929	29,049

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 7 ივლისს და მისი სახელით ანგარიშგებას ხელს აწერს:


ალექსანდრე მირონენკო
დირექტორი


ირაკლი ბაიდაძე
ფინანსური დირექტორი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-41 გვერდებზე.

შპს „მეიჯერელ საქართველო“
2021 წლის კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

'000 ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	1,810	6,540	8,350
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში წლის მოგება	-	29,049	29,049
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	1,810	35,589	37,399
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	1,810	35,589	37,399
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში წლის მოგება	-	49,929	49,929
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრებთან გამოცხადებული დივიდენდები (შენიშვნა 13 (b))	-	(29,100)	(29,100)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	1,810	56,418	58,228

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-41 გვერდებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		55,085	29,049
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		10,782	7,478
წმინდა ფინანსური (შემოსავალი)/ხარჯები	8	(2,274)	5,522
საოპერაციო საქმიანობის შედეგად წარმოშობილი, საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალები/(შემოსულობები)	7, 9	7,390	(2,539)
ანარიცხი გაურკვეველი მარეგულირებელი პოზიციისთვის	7	-	1,816
სხვა არაფულადი ერთეულები		1,624	(544)
		72,607	40,782
<i>ცვლილებები:</i>			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(9,338)	(12,711)
გადახდილ ავანსებში		(375)	(120)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		5,416	2,489
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან პროცენტის და მოგების გადასახადის გადახდამდე		68,310	30,440
სესხებზე გადახდილი პროცენტი	16(b)	(53)	(1,490)
გადახდილი მოგების გადასახადი	13(b)	(2,118)	-
საიჯარო ვალდებულებაზე გადახდილი პროცენტი	16(b)	(1,644)	(1,114)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		64,495	27,836
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა და ცვლილებები გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილ ავანსებში		(19,057)	(5,240)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები		-	77
არამატერიალური აქტივების შეძენა		(99)	(251)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(19,156)	(5,414)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან			
შემოსულობები სესხებიდან	16(b)	-	3,336
სესხების დაფარვა	16(b)	-	(21,012)
გადახდილი დივიდენდები	16(b)	(12,000)	
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	16(b)	(5,764)	(888)
საგარანტიო დეპოზიტის განთავსება		(409)	(236)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(18,173)	(18,800)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		27,166	3,622
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		10,387	5,996
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(2,989)	769
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	12	34,564	10,387

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, კომპანიაზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ და ომმა უკრაინაში 2022 წელს კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „მეიჯერელ საქართველო“ (შემდგომში, „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად. კომპანია დაარსდა 2016 წლის 29 ივნისს, როგორც შპს „Arvato CRM Georgia“. 2019 წლის აგვისტოში, კომპანიამ შეიცვალა სახელი და გახდა შპს „მეიჯერელ საქართველო“.

კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, საქართველო, ი. ჭავჭავაძის გამზირი 34, მეორე სართული. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 405156147.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა „კლიენტებთან ურთიერთობის მართვის“ ("CRM") მომსახურების გაწევა, როგორცაა: ქოლ-ცენტრი, პასუხი ელ-ფოსტაზე შემოსულ მოთხოვნებზე და „ჩატ-ბოქსი“, სხვადასხვა მრეწველობებში მოღვაწე საერთაშორისო კომპანიების კლიენტებისთვის.

კომპანიას აქვს ორი ოფისი თბილისში, ერთი ოფისი ქუთაისში და ერთი ოფისი ბათუმში.

კომპანია „Majorel Holding Deutschland GmbH“-ის სრულად ფლობილ შვილობილ კომპანიას წარმოადგენს. კომპანიის საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული „Bertelsmann SE & Co. KGaA“-ს მმართველობის ქვეშ მყოფი ჯგუფის მოთხოვნებთან. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 21-ე შენიშვნაში.

კომპანია საბოლოოდ „Bertelsmann SE & Co. KGaA“-ის მიერ კონტროლდება და მისი საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა „Mohn family“.

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“) სრულ შესაბამისობაში.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების და შეფასებების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 18 - ანარიცხი გაურკვეველი მარეგულირებელი პოზიციისთვის: განსაზღვრა იმისა, არსებობს თუ არა რაიმე წარსული მოვლენა, რომელიც მიმდინარე ვალდებულებას წარმოშობს; და
- შენიშვნა 16 - საიჯარო ვადა: არის თუ არა კომპანია გონივრულად დარწმუნებული, რომ გამოიყენებს გახანგრძლივების შესაძლებლობას და საიჯარო ხელშეკრულებებში ჯარიმების კომპანიისეული განმარტება.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიებში გამოყენებული ამოსავალი მონაცემების საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

კომპანია აღიარებს მოძრაობას სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის დროსაც წარმოიშვება ცვლილება.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში 17 - სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა.

5. შემოსავალი

(a) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

'000 ლარი	2021	2020
ამონაგები ქოლ-ცენტრის მომსახურებიდან - „კლიენტებთან ურთიერთობის მართვა“ (CRM) და კონტენტის მოდერაცია	173,376	100,248
სულ ამონაგები	173,376	100,248

(b) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგების ჩაშლა

შემდეგ ცხრილში ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ჩაშლილია ძირითადი გეოგრაფიული ბაზრების მიხედვით.

'000 ლარი	2021	2020
ძირითადი გეოგრაფიული ბაზრები		
ევროპის ქვეყნები	159,051	90,208
დსთ-ს ქვეყნები	14,325	10,040
	173,376	100,248

(c) სახელშეკრულებო ნაშთები

შემდეგი ცხრილი ასახავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	11	25,699	22,400

(d) შესასრულებელი ვალდებულებები და ამონაგების აღიარების პოლიტიკები

ამონაგები ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ის მომხმარებელს გადასცემს კონტროლს მომსახურებაზე.

შემდეგი ცხრილი შეიცავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული, შესასრულებელი ვალდებულებების ბუნებისა და ამ ვალდებულებების დაკმაყოფილების ვადების შესახებ, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების და დაკავშირებული ამონაგების აღიარების პოლიტიკების ჩათვლით.

მომსახურების სახეობა	შესასრულებელი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით	ამონაგების აღიარების პოლიტიკები
შემოსავალი ქოლ-ცენტრის მომსახურებიდან	ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, კომპანიას აქვს თავისი კლიენტებისთვის ქოლ-ცენტრის უწყვეტი მომსახურების უზრუნველყოფის მუდმივი ვალდებულება. შესასრულებელი ვალდებულებების შესრულება ფასდება გასული დროისა ან მომსახურების გაწევაში ჩართული თანამშრომლების რაოდენობის მიხედვით. ინვოისები მომსახურებისთვის გამოიწერება ყოველთვიურად და როგორც წესი, უნდა იქნეს გადახდილი 30-45 დღის განმავლობაში.	ამონაგები აღიარდება დროის განმავლობაში მომსახურების გაწევისთანავე ერთად. ამონაგები ფასდება გასული წუთების მიხედვით ან ჩართული თანამშრომლების რაოდენობის მიხედვით, გაწეული მომსახურების ხასიათის შესაბამისად. ფიქსირებული დარიცხვები წუთების/საათების ან თანამშრომლების მიხედვით განისაზღვრება კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. გაწეული მომსახურების დარიცხვა და გადახდა ხდება ყოველთვიურად.

6. პერსონალის ხარჯები

'000 ლარი	2021	2020
ხელფასები და გასამრჯელოები	67,932	37,426
ბონუსები*	6,823	4,747
დაზღვევა	3,815	2,419
სხვა სარგებელი	3,090	1,103
	81,660	45,695

* 2021 წელს, ბონუსები მოიცავს რეგულარულ ბონუსებს 2,394 ათასი ლარის ოდენობით (2020: 1,366 ათასი ლარი) და ერთჯერად, დასაქმებულთა შენარჩუნების ბონუსს 4,429 ათასი ლარის ოდენობით (2020: 3,381 ათასი ლარი).

7. სხვა საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2021	2020
დაკავშირებული მხარეებისგან შეძენილი მომსახურება**	8,608	4,978
დაკავშირებული მხარეებისგან შეძენილი IT მომსახურება	5,798	4,709
ტრენინგების ხარჯები	1,498	524
რემონტი და ტექნიკური მხარდაჭერა	1,370	817
კომუნალური ხარჯები	792	412
მარკეტინგის ხარჯები	774	368
საოფისე ხარჯები	757	696
პროფესიული მომსახურება*	687	611
კომუნიკაციის ხარჯები	614	565
საოფისე მარაგები	468	318
საიჯარო ხარჯები - მოკლევადიანი იჯარები	382	-
სამივლინებო ხარჯები	287	255
ქონების გადასახადები	230	164
IT ხარჯები	204	302
ანარიცხი გაურკვეველი მარეგულირებელი პოზიციისთვის (შენიშვნა 18)	-	1,816
საოპერაციო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი, საკუროსო სხვაობით განპირობებული ზარალები	11,070	2,947
სხვა ხარჯები***	2,272	1,561
	35,811	21,043

* პროფესიული მომსახურების ხარჯი მოიცავს 125 ათასი ლარის ოდენობით აუდიტისთვის გაწეულ საფასურს, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (2020: 78 ათასი ლარი).

** თანხა შედგება დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული, კლიენტებთან ურთიერთობის მართვის მომსახურებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯებისგან.

*** სხვა ხარჯებში შეტანილია 1,619 ათასი ლარის ოდენობით როიალტის საფასური, რომელიც „მეიჯერელის“ ბრენდის სავაჭრო ნიშნის გამოყენებას უკავშირდება (2020: 520 ათასი ლარი).

8. წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯები)

'000 ლარი	2021	2020
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები/(ზარალები)	3,304	(3,478)
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ნაშთებზე	533	-
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებებით	-	(930)
შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე	-	(930)
წმინდა შემოსულობა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე (შენიშვნა 19)	81	-
ფასს 16-ის ფარგლებში დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(1,644)	(1,114)
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	2,274	(5,522)

9. სხვა საოპერაციო შემოსავალი

'000 ლარი	2021	2020
საოპერაციო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები	3,680	5,486
დარიცხვები დაკავშირებული მხარეებისგან	2,660	1,133
შემოსავალი „IT Helpdesk“ მომსახურებიდან	845	799
COVID-19-თან დაკავშირებული საგრანტო შემოსავალი	-	807
შემოსულობა COVID-19-თან დაკავშირებულ საიჯარო ქირის დათმობებზე, მოკლევადიანი საიჯარო ხარჯების გამოკლებით (შენიშვნა 16 (ii))	-	314
სხვა	503	-
	7,688	8,539

10. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	საოფისე ავეჯი და სხვა აღჭურვილობა	ქსელის აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი მოწყობილობები	საიჯარო კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება					
ნაშთი 2020 წლის					
1 იანვარს	6,676	541	201	14,739	22,157
შესყიდვები	1,190	51	2,260	27	3,528
გასვლები და ჩამოწერები	(84)	(46)	(30)	-	(160)
გადაცემები	38	-	(50)	12	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	7,820	546	2,381	14,778	25,525
ნაშთი 2021 წლის					
1 იანვარს	7,820	546	2,381	14,778	25,525
შესყიდვები	2,209	-	17,841	65	20,115
გასვლები და ჩამოწერები	(10)	(4)	(352)	(2,093)	(2,459)
გადაცემები	5,699	33	(17,702)	11,970	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	15,718	575	2,168	24,720	43,181
ცვეთა და გაუფასურება					
ნაშთი 2020 წლის					
1 იანვარს	(2,071)	(169)	-	(3,074)	(5,314)
ცვეთის დარიცხვა	(1,491)	(111)	-	(2,731)	(4,333)
გასვლები და ჩამოწერები	62	21	-	-	83
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	(3,500)	(259)	-	(5,805)	(9,564)
ნაშთი 2021 წლის					
1 იანვარს	(3,500)	(259)	-	(5,805)	(9,564)
ცვეთის დარიცხვა	(2,477)	(109)	-	(2,982)	(5,568)
გასვლები და ჩამოწერები	7	-	-	2,093	2,100
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	(5,970)	(368)	-	(6,694)	(13,032)
საბალანსო ღირებულებები					
ნაშთი 2020 წლის					
1 იანვარს	4,605	372	201	11,665	16,843
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	4,320	287	2,381	8,973	15,961
ნაშთი 2021 წლის					
31 დეკემბერს	9,748	207	2,168	18,026	30,149

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას ჰქონდა 1,581 ათასი ლარის ოდენობით ძირითადი საშუალებების შეძენის სახელშეკრულებო ვალდებულება (2020 წლის 31 დეკემბერი: 5,468 ათასი ლარი).

გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები მოიცავს იჯარით აღებული შენობების განახლების სამუშაოებისთვის გადახდილ ავანსებს.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან	18,934	10,228
სავაჭრო მოთხოვნები მესამე მხარეებისგან	6,765	12,172
სავაჭრო მოთხოვნები	25,699	22,400
სხვა მოთხოვნები*	2,998	1,079
გაუფასურების რეზერვი	(5)	(57)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	28,692	23,422
გრძელვადიანი**	1,374	530
მოკლევადიანი	27,318	22,892
	28,692	23,422

კომპანიის დაქვემდებარება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე და ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალის შესახებ განხილულია მე-17 შენიშვნაში.

* სხვა მოთხოვნების ნაშთები მოიცავს 1,282 ათასი ლარის ოდენობით შეზღუდულ ფულადი სახსრების ნაშთს (2020 წლის 31 დეკემბერი: ნული), ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 3 თვეზე ნაკლები დაფარვის ვადით, რომელიც განთავსებულია მის საბანკო ანგარიშზე, როგორც მისი სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების გარანტია (სავალუტო ფორვარდული ხელშეკრულებები).

** სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გრძელვადიანი წილი მოიცავს იჯარის ვადის მანძილზე, კომპანიის მიერ მეიჯერის საბანკო ანგარიშზე განთავსებულ საგარანტიო დეპოზიტს (დაფარვის ვადით 2023-2026 წელი).

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
საბანკო ნაშთები	33,908	10,386
შეზღუდული ფულადი სახსრები*	656	-
ნაღდი ფული სალაროში	-	1
	34,564	10,387

* შეზღუდული ფულადი სახსრები წარმოადგენს კომპანიის საბანკო ანგარიშზე მისი სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების გარანტიის სახით განთავსებულ ოდენობებს (სავალუტო ფორვარდული ხელშეკრულებები), რომელთა დაფარვის ვადაა სამ თვეზე ნაკლები ხელშეკრულების გაფორმების დღიდან.

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია მე-17 შენიშვნაში.

13. კაპიტალი და რეზერვები

(a) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში. აქციონერთა 2016 წლის 21 ივლისის დადგენილების თანახმად საწესდებო კაპიტალი 1,810 ათასი ლარით (700 ათასი ევრო) განისაზღვრა.

(b) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით: პარტნიორთა საერთო კრების დადგენილების მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს შეუძლიათ დააწესონ წლიური და შუალედური მოგების განაწილება დივიდენდების სახით.

დივიდენდები, მთლიანი ღირებულებით 29,100 ათასი ლარი იქნა გამოცხადებული 2021 წელს (2020: ნული), საიდანაც 12,000 ათასი ლარი იქნა დაფარული 2021 წლის 31 დეკემბერს, ხოლო გამოცხადებული დივიდენდების დარჩენილი ნაწილი, პარტნიორის გადაწყვეტილების მიხედვით, იქნა დაფარული 2022 წელს. განაწილებულ დივიდენდებზე დარიცხული მოგების გადასახადის ხარჯი 2021 წელს შეადგენდა 5,136 ათას ლარს (2020: ნული), საიდანაც 2,118 ათასი ლარი იქნა გადახდილი 2021 წელს.

14. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა კომპანიის სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით. წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია კაპიტალის მართვაში კომპანიის მიდგომის ცვლილებას.

კომპანია არ წარმოადგენს გარედან დაკისრებული, კაპიტალის მოთხოვნების საგანს.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გადასახდელი დივიდენდები (შენიშვნა 13 (b), 16 (b))	17,100	-
დარიცხული დასაქმებულთა შენარჩუნების ბონუსები	6,008	2,949
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება*	4,035	-
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	1,745	1,673
სხვა ვალდებულებები	1,798	627
	30,686	5,249

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებულ სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება განხილულია მე-17 შენიშვნაში.

* მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებაში შეტანილია 2021 წელს გამოცხადებულ დივიდენდებზე დარიცხული 3,018 ათასი ლარის ოდენობით მოგების გადასახადის ვალდებულება (2020 წლის 31 დეკემბერი: ნული).

16. იჯარები

(a) იჯარები როგორც მოიჯარე

კომპანია იჯარით იღებს მის საოფისე ფართებს. ყველა საიჯარო ხელშეკრულება ევროშია დენომინირებული. საიჯარო ვადები განსხვავდება სხვადასხვა საიჯარო ხელშეკრულებებისთვის და როგორც წესი, გრძელდება 3-8 წლის განმავლობაში. საიჯარო გადახდები დადგენილია საიჯარო ხელშეკრულებებში.

კომპანია ფართოდ განმარტავს საიჯარო ხელშეკრულებებში იჯარის სავალდებულო აღსრულების შესაძლებლობას. საიჯარო ვადა ასახავს კომპანიის გონიერულ შეფასებას იმ პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის დადგენისას, კომპანია ამყარებს მის მსჯელობას ხელშეკრულების და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც საშუალებას იძლევა, რომ ფაქტორები, როგორებიცაა, ეკონომიკური ჯარიმები, იურიდიული მიდგომა იჯარის განახლებასთან დაკავშირებით და რეგულაციის მოსალოდნელი ცვლილებები, ეფექტურად იყოს ასახული იჯარის ვადის შეფასებაში.

იჯარებისთვის საიჯარო ვალდებულებების შეფასებისას, კომპანია ადისკონტირებს მის საიჯარო გადახდებს მისი ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით იჯარის აღიარების და/ან მოდიფიცირების თარიღისთვის. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრისთვის, მომავალი საიჯარო გადახდების დისკონტირებისთვის გამოყენებული საშუალო შეწონილი განაკვეთი იყო დაახლოებით 8%.

ინფორმაცია იჯარებზე, რომლებშიც კომპანია მოიჯარის სახით მოქმედებს, წარმოდგენილია ქვემოთ.

(i) აქტივები გამოყენების უფლებით

'000 ლარი	2021	2020
აქტივები გამოყენების უფლებით		
<i>თვითღირებულება</i>		
ნაშთი 1 იანვარს	16,353	12,088
შესყიდვები	18,839	3,709
მოდიფიცირების გავლენა	-	556
აღიარების შეწყვეტა	(4,242)	-
ნაშთი 31 დეკემბრის	30,950	16,353
<i>ცვეთა</i>		
ნაშთი 1 იანვარს	(5,568)	(2,539)
ცვეთის დარიცხვა	(5,031)	(3,029)
აღიარების შეწყვეტა	4,242	-
ნაშთი 31 დეკემბრის	(6,357)	(5,568)
<i>საბალანსო ღირებულებები</i>		
ნაშთი 1 იანვარს	10,785	9,549
ნაშთი 31 დეკემბრის	24,593	10,785

(ii) მოგებაში ან ზარალში აღიარებული ოდენობები

'000 ლარი	2021	2020
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	1,644	1,114
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	382	285
ამონაგები COVID-19-თან დაკავშირებულ საიჯარო კონცესიებზე	-	(599)
	2,026	800

(iii) ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში აღიარებული ოდენობები

'000 ლარი	2021	2020
საიჯარო ვალდებულებების დაფარვები	(5,764)	(888)
საიჯარო გადახდები მოკლევადიანი იჯარებისთვის	(382)	(285)
გადახდილი პროცენტი	(1,644)	(1,114)
	(7,790)	(2,287)

(b) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან

'000 ლარი	სესხები და კრედიტები	საიჯარო ვალდებულება	გადასახდელი დივიდენდები	სულ
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	53	17,834	-	17,887
ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან				
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა - ძირითადი	-	(5,764)	-	(5,764)
დივიდენდების გადახდა	-	-	(12,000)	(12,000)
სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	-	(5,764)	(12,000)	(17,764)
სხვა ცვლილებები				
საპროცენტო ხარჯი	-	1,644	-	1,644
გადახდილი პროცენტი (საოპერაციო ფულადი ნაკადები)	(53)	(1,644)	-	(1,697)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	-	(3,304)	-	(3,304)
შესყიდვები	-	18,759	-	18,759
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	(53)	15,455	-	15,402
სულ კაპიტალთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები (გამოცხადებული დივიდენდები (იხილეთ შენიშვნა 13(b)))	-	-	29,100	29,100
ნაშთი 31 დეკემბერს	-	27,525	17,100	44,625

'000 ლარი	სესხები და კრედიტები	საიჯარო ვალდებულება	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	18,289	11,486	29,775
ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან			
შემოსულობები სესხებიდან	3,336	-	3,336
სესხების დაფარვა	(21,012)	-	(21,012)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა - ძირითადი	-	(888)	(888)
სულ ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	(17,676)	(888)	(18,564)
სხვა ცვლილებები			
საპროცენტო ხარჯი	930	1,114	2,044
გადახდილი პროცენტი (საოპერაციო ფულადი ნაკადები)	(1,490)	(1,114)	(2,604)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	-	3,570	3,570
შესყიდვები	-	3,709	3,709
მოდინგირება	-	556	556
ამონაგები COVID-19-თან დაკავშირებულ საიჯარო კონცესიებზე	-	(599)	(599)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	(560)	7,236	6,676
ნაშთი 31 დეკემბერს	53	17,834	17,887

17. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა, განუსაზღვრელობებიდან და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემისთვის შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეთა შორის სტანდარტულ ოპერაციაში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება ძირითადი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, მათ საბალანსო ღირებულებასთან არის მიახლოებული.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 17(b)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 17(b)(iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 17(b)(iv)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აკისრია მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, ბაზრის პირობებში და კომპანიის საქმიანობებში განხორციელებული ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაპენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელმწიფოებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშობა კომპანიის სავაჭრო მოთხოვნებიდან და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები ფინანსური აქტივებისთვის იყო არა-არსებითი ორივე საანგარიშგებო თარიღისთვის. ყველა ნაშთი კლასიფიცირებულია 1-ელი დონის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად უკავშირდება ქოლ-ცენტრის საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს, რომელიც დაფარულია 30-45 დღის განმავლობაში ინვოისის გამოწერის თარიღიდან. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, არცერთი ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული და ნაშთების არსებითი ნაწილი იქნა შეგროვებული საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მის სავაჭრო მოთხოვნებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაქტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები სავაჭრო მოთხოვნებზე ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარებების მოკლე ვადიანობას.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში საანგარიშგებო თარიღისთვის, გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით იყო შემდეგი:

’000 ლარი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ევროპა	22,853	16,201
დსთ	2,846	6,199
	25,699	22,400

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2021 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანია ფლობდა 34,564 ათასი ლარის ოდენობით ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს (2020 წლის 31 დეკემბერი: 10,386 ათასი ლარი). ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ინახება ბანკში მოკლევადიანი დეფოლტ რეიტინგით B, „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარებების მოკლე ვადიანობას. კომპანია მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაქტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულებები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანიის პოლიტიკა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები საანგარიშგებო თარიღისთვის. თანხები წარმოდგენილია ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით და მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს.

31 დეკემბერი 2021 '000 ლარი	სახელშეკრულებო			12 თვეზე ნაკლები	1-2 წლამდე	2-5 წლამდე	5 წელზე მეტი
	საბალანსო ღირებულება	ფულადი ნაკადები	მოთხოვნა -მდე				
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
საიჯარო							
ვალდებულებები	27,525	34,178	-	7,973	7,652	17,446	1,107
სავაჭრო და სხვა							
ვალდებულებები	26,651	26,651	-	26,651	-	-	-
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
ფორვარდული სავალუტო ხელშეკრულებები							
გადინება	153	28,799	-	28,799	-	-	-
შემოდინება	(154)	(28,800)	-	(28,800)	-	-	-
	54,175	60,828	-	34,623	7,652	17,446	1,107

31 დეკემბერი 2020 '000 ლარი	სახელშეკრულებო			12 თვეზე ნაკლები	1-2 წლამდე	2-5 წლამდე	5 წელზე მეტი
	საბალანსო ღირებულება	ფულადი ნაკადები	მოთხოვნა -მდე				
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები							
სესხები და კრედიტები	53	53	53	-	-	-	-
საიჯარო							
ვალდებულებები	17,834	21,300	-	5,714	4,031	8,649	2,906
სავაჭრო და სხვა							
ვალდებულებები	5,249	5,249	-	5,249	-	-	-
	23,136	26,602	53	10,963	4,031	8,649	2,906

არ არის მოსალოდნელი, რომ დაფარვის ვადების ანალიზში შესულ ფულად ნაკადებს ადგილი ექნებათ არსებითად ადრე, ან არსებითად განსხვავებული ოდენობებით (იხილეთ ასევე შენიშვნა 19).

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად, რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის, რომლებშიც დენომინირებულია გაყიდვები და შესყიდვები და კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტას შორის. ვალუტები, რომლებშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ოპერაციები არის ევრო და აშშ დოლარი. მისი სავალუტო რისკის ჰეჯირებისთვის კომპანია ფორვარდულ სავალუტო ხელშეკრულებებს იყენებს, 1 წელზე ნაკლები დაფარვის ვადით საანგარიშგებო თარიღიდან (იხილეთ ასევე შენიშვნა 19).

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

'000 ლარი	ევროში დენომინირებული 2021	აშშ დოლარში დენომინირებული 2021	ევროში დენომინირებული 2020	აშშ დოლარში დენომინირებული 2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	18,609	183	7,434	163
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	28,670	22	22,415	319
საიჯარო ვალდებულებები	(27,525)	-	(17,834)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,053)	-	(1,673)	-
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წმინდა დაქვემდებარება	17,701	205	10,342	482
ფორვარდული სავალუტო ხელშეკრულებები	(28,800)	-	-	-
წმინდა დაქვემდებარება	(11,099)	205	10,342	482

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო განაკვეთი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთი	
	2021	2020	2021	2022
1 ევრო	3.8140	3.5519	3.5040	4.0233
1 აშშ დოლარი	3.2209	3.1097	3.0976	3.2766

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება (შესუსტება), ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში 31 დეკემბრის მდგომარეობით, იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და ასევე იმოქმედებდა კაპიტალზე და მოგებაზე ან ზარალზე, ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

	მოგება ან ზარალი	
	გამყარება	შესუსტება
31 დეკემბერი 2021		
ევრო (5%-იანი მოძრაობა)	555	(555)
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(21)	21
31 დეკემბერი 2020		
ევრო (5%-იანი მოძრაობა)	(517)	517
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(48)	48

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ახალი სესხების და კრედიტების აღების დროს გადაწყვეტილების მიღებისას მართვის გუნდი ხელმძღვანელობს საკუთარი მოსაზრებით სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება კომპანიისთვის - ფიქსირებული თუ ცვალებადი.

ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის საპროცენტო განაკვეთის პროფილის გამო, კომპანია არ ექვემდებარება არსებით საპროცენტო განაკვეთის რისკებს.

18. ანარიცხები

კომპანია მომხმარებელთა მონაცემების დაცვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. აღნიშნული მოიცავს კლიენტთა პერსონალური მონაცემების და ასევე კომპანიისთვის, მისი ბიზნეს პარტნიორების მიერ მოწოდებული, მათი კლიენტების პერსონალური მონაცემების დაცვას.

„მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის“ ("GDPR") მიხედვით, კომპანიები, რომლებიც ევროკავშირის მოქალაქეთა ან რეზიდენტთა პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ ან სთავაზობენ მათ საქონელს ან მომსახურებას, ვალდებული არიან უსაფრთხოდ დაამუშაონ მათი პერსონალური მონაცემები, შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების გატარებით. ხელმძღვანელობამ გამოიყენა მსჯელობა იმის შესაფასებლად, ჰქონდა თუ არა ადგილი წარსულ მოვლენას, რომელიც წარმოშობს მიმდინარე ვალდებულებას GDPR-ის მოთხოვნების დარღვევის შედეგად და განსაზღვრა, რომ მეტად სავარაუდოა, რომ ადგილი ჰქონდა GDPR-ის მოთხოვნების დარღვევას, რამაც შეიძლება შესაბამისი მონაცემთა დაცვის აღმასრულებელი ორგანოების მხრიდან ჯარიმების დაკისრება გამოიწვიოს.

აღნიშნული დასკვნის გაკეთების დროს, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ COVID-19-ის პანდემიის გავრცელების და მისი გავრცელების შესაჩერებლად მთავრობის მიერ მიღებული ზომების შედეგად, კომპანია იძულებული გახდა გადასულიყო „სახლიდან მუშაობის“ რეჟიმზე, რამაც კომპანია პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის და კიბერუსაფრთხოების რისკების წინაშე დააყენა. ვინაიდან GDPR-ის გარკვეული დებულებების შეუსრულებლობა იწვევს მნიშვნელოვან ჯარიმებს, ხელმძღვანელობამ მოითხოვა ექსპერტის სამართლებრივი დასკვნა, რათა: ა) განსაზღვროს მეტად სავარაუდოა თუ არა, რომ ადგილი ჰქონდა GDPR-ის მოთხოვნების დარღვევას; და ბ) შეაფასოს ვალდებულების დასაფარად საჭირო სავარაუდო თანხა, იმ შემთხვევაში თუ უფლებამოსილი ორგანოები დაიწყებენ გამოძიებას და შეძლებენ სანქციის აღსრულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა ყველა ხელმისაწვდომი მტკიცებულება, მათ შორის პრეცედენტული სამართლის პრეცედენტები, რომლებიც დაკავშირებულია მონაცემთა კონფიდენციალურობის კანონმდებლობის აღსრულებასთან, GDPR-ში წარმოდგენილი ჯარიმების მოდელთან ერთად, რათა შეეფასებინა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული პოტენციური ჯარიმების ოდენობა.

19. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები

სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები ფორვარდულ სავალუტო ხელშეკრულებებს მოიცავს.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში შეჯამებულია 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრისთვის დაუფარავი ფორვარდული სავალუტო ხელშეკრულებების სახელშეკრულებო ოდენობა და ასევე დამატებითი ინფორმაცია საშუალო შეწონილი სახელშეკრულებო გაცვლითი კურსებისა და დაფარვის ვადამდე დარჩენილი პერიოდების შესახებ. ქვემოთ წარმოდგენილი უცხოური ვალუტის ოდენობები კონვერტირებულია საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. შედეგად მიღებული არარეალიზებული ამონაგები და ზარალი აღნიშნულ ვადადამდგარ ხელშეკრულებებზე აღიარდება მოგებაში ან ზარალში და ფინანსურ ინსტრუმენტებში სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, შესაბამისობის მიხედვით.

	ნომინალური ღირებულება		საშუალო შეწონილი სახელშეკრულებო გაცვლითი კურსები	
	2021	2020	2021	2020
'000 ლარი				
შესყიდვა ლარი				
გაყიდვა ევრო				
12 თვეზე ნაკლები			3.6506	-
გადინება	(28,799)	-		
შემოძინება	28,800	-		
წმინდა პოზიცია	1	-		

2021 წელს, კომპანიამ გააფორმა სავალუტო ფორვარდული ხელშეკრულებები ადგილობრივ ქართულ ბანკთან. 2021 წლის 31 დეკემბერს, კომპანიას ჰქონდა დაუფარავი სავალუტო ფორვარდული ხელშეკრულებები 7,940 ათას ევროდ 28,800 ლარის შეძენაზე (წინასწარ განსაზღვრული გაცვლითი კურსით). ხელშეკრულებები იხურება 2022 წლის განმავლობაში, ყველაზე გვიანი დაფარვის ვადით - 2022 წლის 27 დეკემბერი.

აღნიშნული ინსტრუმენტები აკმაყოფილებს წარმოებული ინსტრუმენტების განმარტებას ფასს 9-ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით და თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, წარმოებული ინსტრუმენტები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, და მასში მომხდარი ცვლილებები როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

წმინდა შემოსულობა სავალუტო ფორვარდულ ხელშეკრულებებზე 2021 წელს, 81 ათას ლარს შეადგენს (იხილეთ ასევე შენიშვნა 8).

20. პირობითი ვალდებულებები

(a) სასამართლო დავები

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო დავები და საჩივრები, რომელთაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეთ კომპანიის საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის წარმოდგენილი წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

(b) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების გათვალისწინებით. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიისეული ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შეძლებს საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირებას.

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიაა „Majorel Holding Deutschland GmbH“.

კომპანია საბოლოოდ „Bertelsmann SE & Co. KGaA“-ის მიერ კონტროლდება და მისი საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა „Mohn family“.

(b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

(i) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია პერსონალის ხარჯებში (იხილეთ შენიშვნა 6):

'000 ლარი	2021	2020
ხელფასები და სხვა გასამრჯელო	519	337

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

’000 ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბერს	
	დასრულებული წლისთვის			
	2021	2020	2021	2020
მომსახურების გაყიდვა:				
იმავე დონის შვილობილი საწარმოები	121,951	47,268	18,693	10,044
პირდაპირი მშობელი კომპანია	1,117	897	241	184
მომსახურების შესყიდვა:				
პირდაპირი მშობელი კომპანია	5,770	4,579	705	641
შუალედური მშობელი კომპანია	2,829	1,148	268	284
საბოლოო მშობელი კომპანია	9	11	1	-
იმავე დონის შვილობილი საწარმოები	10,779	4,648	771	748
მიღებული სესხები:				
საბოლოო მშობელი კომპანია	-	3,336	-	53

ყველა დაუფარავი ნაშთი დაკავშირებული მხარეების მიმართ, უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ფულადი სახსრებით. არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი.

2021 წელს, ნულის ტოლი ოდენობით საპროცენტო ხარჯი (2020: 930 ათასი ლარი) იქნა აღიარებული მოგებაში ან ზარალში დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ სესხებსა და კრედიტებთან მიმართებაში.

22. შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტებისა.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, და თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული კომპანიის მიერ.

(a) ამონაგები

ინფორმაცია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებზე, რომლებიც მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს უკავშირდება წარმოდგენილია შენიშვნაში 5.

(b) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო ხარჯი;
- უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;
- შემოსულობა ან ზარალი სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე.

საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე;

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით) ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა საკრედიტო რისკით, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული შემოსულობა ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმ ფაქტზე, წარმოდგენილია თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

(c) უცხოური ვალუტა

(i) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღების შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით მიღებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია სანაგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც შეფასებულია ისტორიული ღირებულებით, გადაყვანილია ოპერაციის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა, როგორც წესი, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(d) მოგების გადასახადი

(i) მიმდინარე გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადადის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადახდილ იქნა დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85.

(e) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის ღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე აქტივის დემონტაჟის, გატანის და ადგილმდებარეობის აღდგენითი დანახარჯების ღირებულებას.

თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს ალბათობა იმისა, რომ დანახარჯთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება და მისი თვითღირებულების სანდოდ შეფასება არის შესაძლებელი.

ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან კომპანიის შიდა ძალებით დამზადებულ აქტივთან მიმართებაში, მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის თარიღიდან. ცვეთა დაფუძნებულია აქტივის თვითღირებულებაზე, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

- | | |
|--|-----------|
| – საოფისე ავეჯი და სხვა აღჭურვილობა | 3-8 წელი; |
| – ქსელური აღჭურვილობა | 3-8 წელი; |
| – საიჯარო კეთილმოწყობა | 3-8 წელი; |
| (სასარგებლო მომსახურების ვადასა და საიჯარო ვადას შორის უმოკლესი) | |

ცვეთის მეთოდების და სასარგებლო მომსახურების ვადების გადახედვა ხორციელდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(f) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები და სასესხო ფასიანი ქაღალდები თავდაპირველად აღიარდება წარმოშობის მომენტში. ყველა სხვა ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხორციელდება გარიგების თარიღისთვის, როდესაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვერი მხარე.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება, თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შემენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა არსებითი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღიარდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივები - ბიზნეს მოდელის შეფასება

კომპანია აფასებს იმ ბიზნეს მოდელის მიზანს, რომლის ფარგლებშიც არის ფლობილი ფინანსური აქტივი პორტფელის დონეზე, რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს ბიზნესის მართვის გზებს და ინფორმაცია მიწოდებულია ხელმძღვანელობისთვის.

ფინანსური აქტივები - შეფასება იმისა, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს:

ამ შეფასების მიზნებისთვის, „ძირი თანხა“ განისაზღვრება, როგორც ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება მისი თავდაპირველი აღიარებისას. „პროცენტი“ განისაზღვრება როგორც ანაზღაურება ფულის ღირებულებისა დროში და კონკრეტული დროის პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისთვის და სხვა ძირითადი სასესხო რისკებისთვის და ხარჯებისთვის (ანუ ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები), ასევე მოიცავს მოგების მარჟას.

იმის შეფასებისას, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს, კომპანია ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს ითვალისწინებს. ეს ასევე მოიცავს შეფასებას იმისა, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობას, რომელმაც შესაძლოა ისეთი ფორმით შეცვალოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადები ან ოდენობა, რომ ის აღარ აკმაყოფილებდეს მოცემულ პირობას. აღნიშნული შეფასების გაკეთებისას, კომპანია ითვალისწინებს შემდეგს:

- პირობითი მოვლენები, რომლებიც ფულადი ნაკადების ოდენობას ან ვადებს შეცვლიდნენ;
- პირობები, რომლებმაც შეიძლება კუპონის სახელშეკრულებო განაკვეთი შეცვალონ, მათ შორის ცვლადი განაკვეთის ფუნქციები;
- წინასწარ გადახდის და გახანგრძლივების პირობები; და
- პირობები, რომლებიც ზღუდავს კომპანიის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან (მაგალითად, ფუნქციები რეგრესის უფლების გარეშე).

წინასწარ გადახდის ფუნქცია შეესაბამება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის კრიტერიუმს, თუ წინასწარ გადახდილი თანხის ოდენობა, არსებითად, წარმოადგენს ძირითადი თანხისა და მიმდინარე ძირითადი თანხაზე დარიცხული პროცენტის დაუფარავ ოდენობებს, რაც შეიძლება მოიცავდეს გონივრულ დამატებით ანაზღაურებას ხელშეკრულების ნაადრევი შეწყვეტისთვის.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ამონაგები ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითია თუ არა მოდიფიცირება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით:

ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- ცვლილებები ფინანსური აქტივის პირობებში, რომლებიც იწვევს შეუსაბამობას „მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდების“ კრიტერიუმებთან (მაგალითად, კონვერტაციის პირობის დამატება).

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს, როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება, როგორც შეცვლილი ან მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას, როდესაც მოდიფიცირებულია მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულპირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას, კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას კომპანია აღიარებს ესეთი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა მოდიფიცირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

კომპანია აფასებს არსებითია თუ არა მოდიფიცირება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური ვალდებულების ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;

- კონვერტაციის შესაძლებლობის დამატება;
- ცვლილება ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციაში.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი/მიღებული თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აღიარებულია ვალის დაფარვიდან მიღებულ მოგებას ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(iv) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები არის მოდიფიცირებული და მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად განსხვავდება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგადაფაროს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(გ) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

(h) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე.

კომპანია აფასებს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს, როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

კომპანია მიიჩნევს, რომ სესხის უზრუნველყოფას აქვს დაბალი საკრედიტო რისკი, როდესაც მისი საკრედიტო რეიტინგი ტოლია გლობალურად მიღებული განმარტებისა „ინვესტიციის ხარისხი“.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობით შეწონილი სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი აღირიცხება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანია აფასებს გაუფასურდა თუ არა საკრედიტო რისკით ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურისა იმ პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულეების გამო უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ზარალის რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდებისათვის, ზარალის რეზერვი დარიცხულია მოგებაზე ან ზარალზე და აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, როდესაც კომპანიას არ გააჩნია ფინანსური აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. კომპანია ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. კომპანია აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება მაინც გახდეს სააღსრულებლო საქმიანობის საგანი იმისათვის, რომ მოვიდეს კომპანიის თანხების ამოღების პროცედურებთან შესაბამისობაში.

(ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა) გადაიხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდიწებებისგან.

კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოდიწებებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფში) შემავალი სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ნებისმიერ მინიშნებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულებას განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(i) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება, როცა კომპანიას აქვს სანდოდ შეფასებადი, სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დაფარვას დასჭირდება ეკონომიკური სარგებლის გადინება. ანარიცხები გამოითვლება მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადასახადების გადახდამდე არსებული განაკვეთით დისკონტირებით, რაც ასახავს ფულის ღირებულების დროში მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტის პოზიციის დახურვა აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

(j) იჯარები

ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, კომპანია ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

წინამდებარე პოლიტიკა გამოიყენება ხელშეკრულებებზე რომლებიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ.

(i) როგორც მოიჯარე

საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების ან მისი მოდიფიცირების დროს, კომპანია ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს მისი შესაბამისი, განცალკევებული ფასის მიხედვით.

კომპანია აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები.

შემდგომ ხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის საკუთრებას კომპანიას იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ „აქტივი გამოყენების უფლებით“ თვითღირებულება ასახავს კომპანიის მხრიდან შესყიდვის შესაძლებლობის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით“ პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებული იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთით. ზოგადად, კომპანია დისკონტირების განაკვეთად მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს იყენებს.

კომპანია მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს განსაზღვრავს სხვადასხვა გარე დაფინანსების წყაროებიდან საპროცენტო განაკვეთების მოპოვების გზით და საჭიროების შემთხვევაში, აკეთებს გარკვეულ კორექტირებებს იჯარის პირობების და იჯარით აღებული აქტივის სახეობის ასახვის მიზნით. გარე წყაროების მოიცავს: კომერციული ბანკები საქართველოში და საქართველოს ეროვნული ბანკი.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს შემდეგს:

- ფიქსირებული გადახდები, მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე, რომლებიც თავდაპირველად დაწყების თარიღისთვის არსებული ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით იქნა შეფასებული;

- ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში გადასახდელი ოდენობები; და
- აღსრულების ფასი შესყიდვის ოფციონის ფარგლებში, რომლის გამოყენებაშიც კომპანია გონივრულად დარწმუნებულია, საიჯარო გადახდები არასავალდებულო განახლების პერიოდის განმავლობაში თუ კომპანია გონივრულად დარწმუნებულია, რომ გამოიყენებს გახანგრძლივების შესაძლებლობას და ჯარიმები იჯარის ნაადრევი შეწყვეტისთვის, გარდა შემთხვევებისა, როდესაც კომპანია გონივრულად დარწმუნებულია, რომ არ შეწყვეტს ნაადრევად ხელშეკრულებას.

საიჯარო ვალდებულება შემდგომ გაზრდილია საპროცენტო ხარჯით საიჯარო ვალდებულებაზე და შემცირებულია განხორციელებული საიჯარო გადახდებით. საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ის გადაფასებულია როდესაც არსებობს ცვლილება სამომავლო საიჯარო გადახდებში, რომელიც წარმოიშვა ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების შედეგად, თუ არსებობს ცვლილება კომპანიის შეფასებაში იმ ოდენობისა რომელიც მოსალოდნელია, რომ იქნება გადასახდელი ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში, თუ კომპანია შეცვლის მის შეფასებას იმისა გამოიყენებს თუ არა შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესაძლებლობას ან თუ არსებობს გადახდილი არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები.

როდესაც საიჯარო ვალდებულება მსგავსი გზით გადაფასდება, ხდება აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება, ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში თუ აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულება შემცირებულია ნულამდე.

კომპანიამ აირჩია არ აღიაროს „აქტივები გამოყენების უფლებით“ და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე და მოკლევადიან იჯარებზე. კომპანია აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

საიჯარო ვადა ასახავს კომპანიის გონივრულ შეფასებას იმ პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანია აფუძნებს მის მსჯელობას კონტრაქტის და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციაში და კომპანიის სამომავლო ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში. კომპანიას არ აქვს იჯარები რომლებშიც ის მოქმედებს როგორც მეიჯარე.

(k) ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით იმ საადრიცხვო პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

(l) დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ფარგლებში, თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

24. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2022 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას. მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და კორექტირებული სტანდარტები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - ეტაპი 2 (ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16-ის შესწორებები).
- COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ (ფასს 16-ის შესწორება).
- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის შესწორებები)
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 წლების ციკლი;
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ბასს 16-ის შესწორებები).
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის შესწორებები);
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის შესწორებები).
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების შესწორებები
- სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტებითი შენიშვნები (ბასს 1-ის და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის შესწორებები)
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის შესწორებები).

25. COVID-19-ის გავლენა

COVID-19-ის პანდემიამ 2020 წლის დასაწყისში და მისმა სწრაფმა გავრცელებამ მსოფლიოს გარშემო, იქონია არსებითი გავლენა და ცვლილებები შეიტანა ბიზნეს გარემოში მსოფლიოს გარშემო ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

2020 წლის 11 მარტს, მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. COVID-19 -ის საზოგადოების ჯანმრთელობისთვის პოტენციურად სერიოზული საფრთხის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომები მიიღო, რაც მოიცავს ტრანსპორტის საზღვრო გადაადგილებაზე შეზღუდვების დაწესებას, უცხოელი სტუმრებისთვის ქვეყანაში შემოსვლის შეზღუდვებს და ბიზნეს საზოგადოებისთვის მითითების მიცემას, რომ თანამშრომლები სახლიდან მუშაობის რეჟიმზე გადაიყვანონ. სოციალური დისტანცირების გასაუმჯობესებლად, სკოლები, რესტორნები, კინოთეატრები და სპორტული ღონისძიებები 2020 წლის უმეტესი პერიოდის განმავლობაში იქნა შეჩერებული.

2021 წლის პირველ ნახევარში, საქართველოს მთავრობამ COVID-19 პანდემიის გამო დაწესებული ძირითადი შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნა დაიწყო. ვაქცინების გავრცელება, რომლებიც COVID-19-ისგან მაღალი დონის იმუნიტეტს უზრუნველყოფს, იძლევა დადებით ხედვას ეკონომიკისა და ბიზნეს გარემოს სამომავლო პერსპექტივებზე, როგორც საქართველოში ასევე მთელ მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ COVID-19-ის შემთხვევების დიდი რაოდენობაა, კარანტინი არ არის მოსალოდნელი და ეკონომიკა აღდგენის გზაზეა, დადებითი სამომავლო პერსპექტივით. 2021 წელს, წინასწარი რეალური მშპ 10.4%-ით გაიზარდა. (წყარო: საქსტატი).

COVID-19 პანდემიის აფეთქებამ და საქართველოს მთავრობის მიერ გავრცელების შესამსუბუქებლად მიღებულმა ზომებმა მნიშვნელოვანი გავლენა არ იქონია კომპანიის საქმიანობაზე. კომპანიამ ჩვეულ რეჟიმში განაგრძო თავისი საქმიანობა. კარანტინის პერიოდის განმავლობაში კომპანიის საქმიანობა არ შეწყვეტილა და კომპანია სრული დატვირთვით მუშაობდა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღისთვის, COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული ყველა შეზღუდვა, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაწესებულებებში ნიღბების ტარების შეზღუდვის გარდა - მოხსნილია.

შპს მეიჯერელ საქართველო

2021 წლის

მმართველობითი ანგარიშგება

სარჩევი

საქმიანობის მიმოხილვა გლობალურ ჭრილში	3
საქმიანობის მიმოხილვა საქართველოში	4
მნიშვნელოვანი მოვლენები და გამოწვევები.....	5
კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები:.....	7
რისკების მართვა	8
კომპანიის სამომავლო გეგმები საქართველოში	12
კოვიდ -19.....	13

საქმიანობის მიმოხილვა გლობალურ ჭრილში

მეიჯერელი გლობალურად წარმოადგენს საერთაშორისო კომპანიას, რომელიც ბიზნეს პროცესების აუტსორსინგის სფეროში საქმიანობს.

კომპანიის 75 000-ზე მეტი თანამშრომელი 41 ქვეყანაში, 60 ენაზე ემსახურება 400-ზე მეტ საერთაშორისო ბრენდის მომხმარებელს.

მეიჯერელი გლობალურად შეიქმნა 2019 წლის იანვარში, ბერტელსმანის და საჰამის შერწყმის შედეგად, რაც მიზნად ისახავდა მომხმარებელთა მომსახურების წამყვანი ორგანიზაციის შექმნას.

მეიჯერელი აერთიანებს Arvato CRM Solutions, Phone Group, ECCO Outsourcing და Pioneers Outsourcing. ყველა აღნიშნული კომპანია ერთიანი ღირებულებების გარშემო ერთიანდებიან.

ერთობლივი გამოცდილებით და რესურსებით ვეძნით კლიენტებისთვის ყველაზე ეფექტურ და სასარგებლო გამოცდილებას აუტსორსინგში.

კომპანიის გლობალური მისია

ჩვენ ვეძნით მომხმარებელთა საოცარ გამოცდილებას, რომელსაც მომხმარებელი აფასებს და ჩვენ ვამაყობთ.

ნიჭის, მონაცემებისა და ტექნოლოგიის კომბინირებით ჩვენ მნიშვნელოვან ღირებულებას ვეძნით ჩვენი პარტნიორებისთვის. ჩვენ მუდმივად ვვითარდებით და მივდივართ წინ.

კომპანიის გლობალური ხედვა

ჩვენი ხედვაა ვიყოთ ჩვენი კლიენტების სანდო, გრძელვადიანი პარტნიორი მომხმარებლების ჩართულობისთვის მუდმივად ცვალებად სამყაროში.

კრეატიულობა, სრულყოფილება და პატივისცემა არის ნაწილი ჩვენი საქმიანობისა. ეს უზრუნველყოფს ჩვენს პარტნიორების წარმატებასა და საშუალებას გვაძლევს ვიმუშაოთ მათთან ერთად, როგორც ერთი გუნდი.

ჩვენ ვემსახურებით მომხმარებელს მთელს მსოფლიოში: ევროპის 30 ქვეყანაში, ახლო აღმოსავლეთში, აფრიკაში, ამერიკასა და აზიაში - ჩვენი თანამშრომლები მომსახურებას უწევენ მომხმარებლებს 60 სხვადასხვა ენაზე.

საქმიანობის მიმოხილვა საქართველოში

მეიჯერელი საქართველოში 2016 წელს შემოვიდა Arvato Bertelsmann-ის სახელით, 2019 წლის თებერვალში კი, რეზრენდინგის შედეგად, წარმოიქმნა სრულიად ახალი ბრენდი Majorel-ი.

მეიჯერელ საქართველო (შემდგომში კომპანია) მსოფლიოს უმსხვილესი ბრენდებისთვის ქმნის კლიენტთა მომსახურების განსხვავებულ გამოცდილებას.

მეიჯერელმა, (ყოფილი Arvato) საქართველოში 2016 წლის სექტემბერში დაიწყო ოპერირება და ამჟამად ოთხი ოფისითაა წარმოდგენილი, მათ შორის ორი თბილისში, ერთი ქუთაისში და ერთიც ბათუმში. კომპანია მომსახურებას უწევს კლიენტებს მოგზაურობის, ელექტრონული კომერციის, სოციალური ქსელების, ინფორმაციული და ციფრული ტექნოლოგიებისა და ავტონდუსტრიის მიმართულებით.

მნიშვნელოვანი მოვლენები და გამოწვევები

მეიჯერელმა საქართველოში პირველი ოფისი 6 წლის წინ თბილისში გახსნა, ერთი კლიენტი და 150 გერმანულენოვანი თანამშრომლით. მაშინ, ჯერ კიდევ არ იყო დაგეგმილი ასეთი სწრაფი ზრდა. თუმცა, 2018 წელს შემოვიდა მოთხოვნა როგორც არსებული პროექტის ზრდაზე, ასევე ახალი პროექტების დამატებაზე. 2019 წელს კი მეიჯერელში გადაწყდა, რომ გაფართოება იქნებოდა სწორი სტრატეგიული ნაბიჯი, შესაბამისად თბილისში მეორე ოფისი და ქუთაისში რიგით პირველი ოფისი გახსნა. 2020 წლის აგვისტოში შეემატა ბათუმის ოფისი 20 თანამშრომლით. თანამშრომელთა რაოდენობა ამ დრომდე მნიშვნელოვნად გაიზარდა ბათუმში, საჭირო გახდა ახალი, უფრო დიდი ოფისის დამატება, რომლის ოფიციალური გახსნაც 2022 წლის მაისში მოეწყო.

პარალელურად, სამომავლო ინვესტიციის კუთხით მოიაზრება შემდგომი გაფართოება, როგორც თბილისის მასშტაბით, ასევე დედაქალაქის ფარგლებს გარეთ - სხვა ქალაქებში.

სწრაფად ცვალებად თანამედროვე სამყაროში მაღალი დონის მომსახურების მიწოდება ნამდვილი გამოწვევაა. კომპანია ადამიანური რესურსების და ტექნოლოგიების საშუალებით, ყოველთვის ცდილობს დანერგოს ინოვაციები, რაც განპირობებულია ადაპტაციის უნარით და წინსვლისკენ სწრაფვის სურვილით.

კომპანიამ არაერთხელ დაამტკიცა, რომ საქართველოში მომსახურების დონე საკმაოდ მაღალია, რაც კომპანიის ზრდითა და საქართველოს მიმართ გამოჩენილი ინტერესით დასტურდება.

გუნდი, მომსახურების დონე და უცხო ენების სრულფასოვანი ცოდნა ახალი დამკვეთების დაინტერესებაში დიდ როლს თამაშობს.

ეს, თავისთავად, კიდევ უფრო მეტი ადამიანის დასაქმების საშუალებას აძლევს კომპანიას. ისეთი ენების ცოდნა, როგორებიცაა: გერმანული, ინგლისური და რუსული კომპანიაში თანამშრომლის წარმატების გარანტიაა.

კომპანიის მთავარი ღირებულება თანამშრომლები და ის გარემოა, სადაც ვმუშაობთ. სწორედ ამიტომ, დასაქმებულებს მეიჯერელი სთავაზობს ბენეფიტების მიმზიდველ ნაკრებს: კონკურენტუნარიან ანაზღაურებას, დაზღვევის პაკეტს თანამშრომლებისთვისა და მათი ოჯახისთვის, ტრანსპორტირებას სადამოს საათებში და სხვადასხვა სახლისო აქტივობებს წლის განმავლობაში.

წლის მაკრო ეკონომიკული მოვლენების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, მსოფლიოსა და საქართველოში განვითარებული სოციო-ეკონომიკური მოვლენები, მნიშვნელოვნად აისახება მეიჯერელის საბოლოო ფინანსურ შედეგებზე.

შესაბამისად მაკრო ეკონომიკული ანალიზი არის მნიშვნელოვანი რათა სრულად იქნას წარმოჩენილი კონკრეტული დადებითი თუ უარყოფითი გავლენები კომპანიის შედეგებზე.

რაც შეეხება 2021 წელს, ზოგადად შეიძლება შეფასდეს, როგორც განსხვავებული და გამოწვევებით აღსავსე. მსოფლიოსა და მათ შორის საქართველოშიც შექმნილმა პანდემიურმა გარემოებამ მნიშვნელოვანი სირთულეების წინაშე დააყენა ქვეყანა და მათ შორის ბიზნესიც - რა თქმა უნდა, მეიჯერელ საქართველოც არ იყო გამონაკლისი. კომპანიას მოუწია სრულიად ახალ რეალობასთან შეჭიდება და გამკლავება.

მაკროეკონომიკური პარამეტრებიდან უმნიშვნელოვანესია უცხოური ინვესტიციების მოცულობის შემცირება, წინა წლებთან შედარებით, რამაც გავლენა იქონია ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე ევროსთან მიმართებით. ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვნად მოქმედებს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

უმუშევრობის დონის ზრდა, თავისთავად მძიმე მოვლენაა ჩვენი თანამოქალაქეებისთვის, 2021 წლის განმავლობაში რიგ ბიზნესს მძიმე ზიანი მიაყენა პანდემიამ და მნიშვნელოვნად შეამცირა მათი მოცულობა. შესაბამისად, ნაწილმა ჩვენი თანამოქალაქეებისა დაკარგა სამსახური და დარჩა სტაბილური შემოსავლის გარეშე.

ქვეყნის სტაბილური პოზიციონირება საერთაშორისო ფინანსურ რეიტინგებში, ასევე ბიზნესის კეთების კუთხით საერთაშორისო მოწინავე ადგილის შენარჩუნება პოზიტიურად აისახება მეიჯერელ საქართველოს განვითარებასა და ამბიციური გეგმების დასახვა/განხორციელების კუთხით.

რაც შეეხება უარყოფით მოვლენებს აქ გამოსაყოფი იქნებოდა მშპ ერთ სულ მოსახლეზე ლარის ნომინალში არის საგრძნობლად შემცირებული. ასევე წლიური ინფლაციის მკვეთრი ზრდა რაც განაპირობებს ფასებისა და ხარჯების არასტაბილურობას.

გაცვლითი კურსის ანალიზი და მისი გავლენა შემოსავალზე

2021 წელს ეროვნული ვალუტა ევროსთან მიმართებით გამყარდა დაახლოებით 15%-ით: საანგარიშო პერიოდის დასაწყისში გაცვლითი კურსი იყო 4.0233 ხოლო, საანგარიშო პერიოდის ბოლოს 3.504.

ეს დინამიკა კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კერძოდ იმ თვალსაზრისით რომ შემოსავლები კომპანიას ძირითადად მყარ ვალუტაში აქვს, წარმოადგენს უარყოფით ზეგავლენას შემოსავლების კუთხით, აღნიშნული ტრენდი შენარჩუნდა 2022 წლის განმავლობაში.

ხოლო ხარჯების კუთხით რა თქმა უნდა არის დამატებითი წნეხი და ნეგატიური მოვლენა.

კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები:

მეიჯერელ საქართველომ 2021 წლის საოპერაციო პერიოდი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაზრდილი შემოსავლებით დაასრულა. აღნიშნული გამოწვეული იყო არსებულ მომხმარებლებისაგან გაზრდილი მოთხოვნის გამო.

2021 წლის შემოსავალმა 170 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 72.9%-იან ზრდას წარმოადგენს:

*ათასი ლარი	2020	2021	გადახრა
შემოსავალი რეალიზაციიდან	100,248	173,376	73,128

2020 წელთან შედარებით საანგარიშო პერიოდის საოპერაციო ხარჯები 1.7-ჯერ გაიზარდა აბსოლუტურ მოცულობაში, ხოლო პროცენტული თვალსაზრისით, სტაბილურად შენარჩუნდა:

*ათასი ლარი	2020	2021	გადახრა
შემოსავალი რეალიზაციიდან	100,248	173,376	73,128
მთლიანი საოპერაციო ხარჯი	-74,216	-128,253	-54,037
საოპერაციო ხარჯის წილი შემოსავალში	-74%	-74%	0%

კომპანია, საოპერაციო მიზნების განსახორციელებლად რამდენიმე სახეობის ძირითად რესურსზეა დამოკიდებული. მათგან უმთავრესია ადამიანური კაპიტალი - მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე. მეიჯერელ საქართველოში 2021 წლის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 60%-ით გაიზარდა და 2,349-ს მიაღწია.

რისკების მართვა

ხელმძღვანელობას აკისრია მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

„კომპანიის“ რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად განიხილება ბაზრის პირობებისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. ტრენინგების, მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და მოვალეობა.

ნებისმიერმიერ ბიზნესს თან ახლავს სხვადასხვა სახის რისკები, რომელთა არსებობის პირობებში უწევს ოპერირება. მეიჯერელ საქართველოსთვის არსებული გაურკვევლობები რამდენიმე ძირითად ჯგუფად იყოფა, მათგან უმთავრესია:

- ეკონომიკური, სოციალური და ფინანსური;
- საოპერაციო და ბიზნესის უწყვეტობის რისკი;
- სამართლებრივი და პოლიტიკური;
- საინფორმაციო ტექნოლოგიები და უსაფრთხოება;

ეკონომიკური, სოციალური და ფინანსური:

ჯგუფში მოვიაზრებთ ისეთ კატეგორიებსა და მაჩვენებლებს, როგორიცაა უმუშევრობის დონე, ინფლაცია და სავალუტო რისკი, მოსახლეობის/სამუშაო ძალის რაოდენობა, მიგრაციის დონე, განათლების ხარისხი, მშპ ერთ სულ მოსახლეზე, უცხოური ინვესტიციების მოცულობა, საკრედიტო რისკი.

უმუშევრობის დონე:

მეიჯერელ საქართველოს ოპერირების საფუძველს წარმოადგენს კომპანიის თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ უწევენ მაღალი ხარისხის მომსახურებას მომხმარებლებს. დასაქმებისა და უმუშევრობის ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა: სამუშაო ძალის განაწილება რეგიონების მიხედვით, უმუშევრობის დონე რეგიონების ჭრილში, დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური სახეების მიხედვით, დაკავებული პოზიციების ჭრილში დასაქმებულთა ანალიზი, დასაქმებულის მიერ ძირითად სამუშაოზე დახარჯული დროის მოცულობა კვირაში და სხვა, კომპანია აკვირდება განუწყვეტლივ რეჟიმში და საკადრო გადაწყვეტილებებს ვუთავსებთ შიდა საკადრო პოლიტიკას. მაგალითად 2021 წელს წინა პერიოდებთან შედარებით უმუშევრობის დონე გაიზარდა, რაც დიდ წილად პანდემიური ფონიდან გამომდინარეობდა¹.

მეიჯერელ საქართველოს თანამშრომელთა მართვის დეპარტამენტი, მმართველ საბჭოსთან ერთად, აანალიზებს იმ შესაძლო შედეგებს, რომელიც უმუშევრობის დონის შემცირება/ზრდამ შეიძლება წარმოშვას, მათ შორის, როგორიცაა: კადრების დენადობის ზრდა, არსებულ ღია ვაკანსიაზე შემოსული განაცხადების შემცირება, საკმარისად კვალიფიციური კანდიდატების შემცირება და ა.შ. მსგავს შესაძლო შედეგებს კომპანია მუდმივად ცდილობს შეხვდეს მომზადებული და კანდიდატებსა და

¹ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba>

თანამშრომლებს შესთავაზოს მათ წინსვლასა და განვითარებაზე მორგებული პირობების ერთობლიობა. სამუშაო ძალის განაწილება რეგიონების მიხედვით ერთ-ერთი მაჩვენებელია, რომელსაც კომპანია ეყრდნობა შემდგომი გაფართოების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს. მაგალითად 2018 წელს გადაწყვეტილება იქნა მიღებული პირველი ოფისის გახსნის შესახებ იმერეთის რეგიონში - რაც მიზნად ისახავდა დასავლეთ საქართველოში პოტენციური ტალანტების შერჩევასა და ერთობლივ განვითარებას. 2019 წლის აპრილში გაიხსნა სწორედ პირველი ოფისი ქუთაისში. მეიჯერელი ამ მიმართულებით აგრძელებს მუშაობას: 2020 წლის აგვისტოში გაიხსნა პირველი ოფისი ბათუმში. სამომავლოდ კი იგეგმება ახალი ქალაქებისა და რეგიონების ათვისება საქართველოს მასშტაბით.

დასაქმებულის მიერ ძირითად სამუშაოზე დახარჯული დროის მოცულობა კვირის განმავლობაში არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი ახალი ვაკანტური ადგილის შევსების პროცესში. მეიჯერელი ითვალისწინებს დარგის მიხედვით, კვირის განმავლობაში ძირითად სამუშაოზე დახარჯული საათების მოცულობას და კანდიდატებს სთავაზობს, მაგალითად კვირის განმავლობაში, მისთვის სასურველი რაოდენობის საათების სამუშაო პირობებს.

ინფლაცია

ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა არის ფუნდამენტური ფაქტორი, რომელიც აუცილებელია გრძელვადიანი გეგმების შემუშავებისა თუ მიღწევის თვალსაზრისით. მაღალი ინფლაცია კი, რომელიც ამავდროულად დიდი რყევებითაც ხასიათდება, გაურკვევლობებს ზრდის კომპანიისთვის, სტრატეგიული დაგეგმარების ეტაპზე.

მოსახლეობის/სამუშაო ძალის რაოდენობა

მეიჯერელ საქართველომ ოპერირება 2016 წელს 150 თანამშრომლით დაიწყო, 2020 წელს საშუალოდ 1,450 თანამშრომელს აერთიანებდა ხოლო 2021 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 60%-ით გაიზარდა და საშუალოდ 2,349 კოლეგას შეადგენდა. მსგავსი ზრდა ხშირად დაკავშირებულია გამოწვევებთან. 2021 წლის საქსტატის მონაცემებით აქტიური სამუშაო ძალა ბოლო ათი წლის მაჩვენებელთან შედარებით იყო ერთ-ერთი ყველაზე დაბალი (2020 წელს თუ არ ჩავთვლით). ხოლო მოსახლეობის რაოდენობა სამუშაო ძალის გარეთ, კვლავ მაღალ ნიშნულს ინარჩუნებს. იმისათვის რომ მეიჯერელ საქართველომ უზრუნველყოს ზრდის მსგავსი დინამიკის შენარჩუნება, აუცილებელია ქვეყანაში სამუშაო ძალის ზრდა. ბიზნესის სრულფასოვანი გაფართოება შესაძლოა შეაფერხოს, სწორედ, კვალიფიციური სამუშაო ძალის სიმწირემ თუ შეზღუდულობამ.

მიგრაციის დონე

საქართველოს საზღვრების დატოვება მოსახლეობის მიერ წარმოშობს დამატებით რისკს მეიჯერელ საქართველოსთვის თანამშრომლების შერჩევის კუთხით. მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ფლობს უცხო ენას (ინგლისურს, ფრანგულს, გერმანულსა თუ სხვას), ხშირად მიგრირებს საზღვარგარეთ სამსახურეობრივი თუ განათლების დონის ასამაღლებლად. მსგავსი კონტიგენტის გადინება ქვეყნიდან ამცირებს მეიჯერელ საქართველოსთვის პოტენციური თანამშრომლების ბაზას და შესაბამისად დრო, რომელიც სჭაჭირია ახალი თანამშრომლის მოძიება/დატრენინგებისათვის, იზრდება.

განათლების ხარისხი

არის ერთ-ერთი ფუნდამენტალური სოციალური ფაქტორი, რაზეც კომპანიის შემდგომი განვითარება და ზრდა არის დამოკიდებული. მეიჯერელ საქართველო მომსახურებას უწევს რვა სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე მომხმარებლებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან, მოგზაურობასთან თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით. შესაბამისად მომსახურების წარმომადგენელი,

გარდა იმისა, რომ კარგად უნდა ფლობდეს უცხო ენას, ასევე გამოცდილი უნდა იყოს მომსახურების სფეროში და შესწევდეს უნარი ინფორმაციის სწრაფად მოძიების, გადამუშავებისა და სწორად ინტერპრეტაციის. ამ ყველაფერის ბაზა კი არის განათლების ხარისხი. როდესაც ქვეყანა წინაურდება, განათლების სხვადასხვა მაჩვენებლით, მსოფლიო რეიტინგებში, კომპანიას უფრო მეტი ზრდის დაგეგმვის შესაძლებლობა უჩნდება.

საკრედიტო რისკი

იგივე კონტრაგენტის რისკი ჩვენს შემთხვევაში, გულისხმობს მხარის მიერ საკუთრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ დანაკარგებს. მეიჯერელ საქართველო ათეულობით ადგილობრივ მომწოდებელთან თანამშრომლობს. ბიზნეს ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე წარმოიშობა სწორედ საკრედიტო რისკის ალბათობა, მათ შორის დეფოლტის რისკიც განიხილება.

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაგენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშვება კლიენტების მიმართ კომპანიის მოთხოვნებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები ფინანსურ აქტივებზე არის არა-არსებითი. ყველა ფინანსური აქტივი 1-ელ დონეს მიეკუთვნება.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ „კომპანია“ სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. „კომპანიის“ მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით მოიცავს, შემდგომში დაგეგმვად იმის უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დროულად შესასრულებლად, როგორც ნორმალურ, ისე - სტრესულ ვითარებაში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან „კომპანიის“ რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ საბაზრო ფასების ისეთი ცვლილება, როგორიც არის ვალუტის გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის ფასები იმოქმედებს „კომპანიის“ შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის პროცესში.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს, იმდენად რამდენადაც არსებობს შესაბამისობა იმ ვალუტებს შორის, რომლებშიც დენომინირებულია შემოსავლები და ხარჯები. შემოსავლის უდიდესი ნაწილი გენერირდება ევროში, ხოლო ხარჯების ძირითადი ნაწილის გაწევა ხდება ეროვნულ ვალუტაში. სწორედ სავალუტო რისკების შესამცირებლად, კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს.

უცხოური ინვესტიციების მოცულობა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა ხელს უწყობს ეროვნული ვალუტის სიმყარესა და ფასების სტაბილურობას, რაც, პოზიტიურად აისახება მეიჯერელ ჯორჯიას მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი დაგეგმარების სტადიაზე. ეროვნული ვალუტის სტაბილურობა კომპანიას აძლევს საშუალებას

პერიოდის განმავლობაში გაწეროს საოპერაციო ხარჯები მათ შორის კომუნალური, საიჯარო, თანამშრომელთა ხარჯი და სხვა.

საოპერაციო რისკები

ისეთი ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება შეზღუდოს წარმოების უწყვეტობა ამ ჯგუფში განიხილება. საოპერაციო ხაზის უწყვეტობისათვის აუცილებელია ელექტრო ენერგიის, ინტერნეტის უწყვეტად მიწოდების უზრუნველყოფა. მომსახურების გაწევა მომხმარებლისათვის ხდება დისტანციური მეთოდებით, ისეთი როგორიცაა ელექტრონული ფოსტა, ინტერნეტ პლატფორმა, სპეციალური სისტემები, რომელშიც წარმომადგენელი ვერ შეძლებს მომხმარებელთან კომუნიკაციის დამყარებას ზემოთ ხსენებული რესურსების გარეშე, რამაც საბოლოოდ მომსახურების ხარისხსა და ბრენდის რეპუტაციაზეც კი შეიძლება იქონიოს გავლენა. ნაწილი კონტაქტების, მობილური და სატელეფონო ზარებით მიმდინარეობს - საკომუნიკაციო ქცელის შეუზღუდავად დაფარვა და მოწოდება ასევე მნიშვნელოვანია საბოლოო მომხმარებლისათვის, უმაღლესი ხარისხის მომსახურების მისაწოდებლად. ამ რისკებს მეიჯერელ საქართველო სერვის მომწოდებლებთან ერთად ინაწილებს, ცდილობს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას, რაც მინიმალურამდე დაიყვანს მსგავსი შეფერხებების რაოდენობასა თუ ხანგრძლივობას.

სამართლებრივი და პოლიტიკური რისკები

კომპანიის გამართულ ფუნქციონირებაზე გავლენა შესაძლოა იქონიოს ისეთმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, როგორიცაა მოსახლეობისა თუ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მხრიდან გამართულმა აქცია-დემონსტრაციებმა, მასშტაბურმა შეკრებებმა და სხვა. ყველაზე მეტად ეს რისკი დაკავშირებულია მეიჯერელ საქართველოს რიგით მეორე ოფისთან, რომელიც მდებარეობს ქალაქ თბილისში, პარლამენტის შენობასთან. ზოგჯერ, მასშტაბური დემონსტრაციების გამო ხდება გადაადგილების შეზღუდვა აღნიშნულ ტერიტორიაზე, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს თანამშრომელთა დროულად ვერ გამოცხადება სამსახურში და შესაბამისად მომსახურების უწყვეტი და ხარისხიანი მიწოდება.

განვითარების გარდამავალ ეტაპზე, სახელმწიფოში ხშირად მიმდინარებს საკანონმდებლო და სამართლებრივი ნორმების ცვლილება. საერთაშორისო კომპანიის წარმომადგენლობისთვის, ზოგჯერ უფრო გრძელდება დროში, ამ ნორმებზე მორგება-ადაპტაცია, ვინაიდან გარდა ადგილობრივი კანონმდებლობისა მეიჯერელ საქართველოს ფუნქციონირება ემყარება კომპანიის შიდა სტანდარტებსა და რეგულაციებსაც, რომელიც გლობალური მასშტაბით საერთოა ყველა ქვეყანაში გახსნილი ფილიალებისათვის.

საინფორმაციო ტექნოლოგიები და უსაფრთხოება

საოპერაციო პროცესების მიმდინარეობისას, მეიჯერელ საქართველოს თანამშრომლებს შეეხება აქვთ მომხმარებლების ისეთი სახის სენსიტიურ ინფორმაციაზე, როგორიცაა მათ მიერ გაკეთებული შესყიდვის მოცულობა, გადახდების რაოდენობა, საცხოვრებელი მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია. მომხმარებელთა საუკეთესო ინტერესების დასაცავად, უკიდურესად მნიშვნელოვანია, აღნიშნული ინფორმაცია არ გავრცელდეს კომპანიის გარეთ და არ მოხდეს მათი გამოყენება/დამუშავება რაიმე არამიზნობრივი საჭიროებებისათვის. კონფიდენციალურობის მაღალი დონის შესანარჩუნებლად კომპანია ავითარებს და ნერგავს შიდა სტანდარტებს, წესებსა და ნორმატიულ აქტებს, რომლებიც მიმართულია და ხელს უწყობს ინფორმაციის დაცულობას.

კომპანიის სამომავლო გეგმები საქართველოში

მეიჯერელ საქართველო, თანამშრომელთა რაოდენობის მხრივ, დაფუძნებიდან მეექვსე წელს, თითქმის თხუთმეტჯერ გაიზარდა. ქვეყანაში შექმნილი გამჭირვალე ბიზნეს გარემო უზიარებლად კომპანიას შემდეგი ზრდისა და განვითარებისაკენ. ქვემოთ მოხსენიებულია ძირითადი მიმართულებები, რომელთა განხორციელებასაც გეგმავს კომპანია:

- ფიზიკური გაფართოება;
- ბიზნესის დივერსიფიკაცია;
- მომსახურების ხარისხი;
- სოციალური და გარემოს დაცვითი ღონისძიებები.

მეიჯერელ საქართველო ცდილობს საქმიანობა განახორციელოს ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ქუთაისსა და ბათუმში ოფისის გახსნა და ამავე მიზნით იგეგმება ოფისის გახსნა თელავსა და სხვა დიდ ქალაქებში. კომპანია მაქსიმალურად ცდილობს მოიძიოს კვალიფიციური თანამშრომლები ქვეყნის მასშტაბით და ერთობლივი ძალისხმევით უზრუნველყოს მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისათვის.

ბიზნესის დივერსიფიკაციაში კომპანიის ზრდას მოვიაზრებთ მომხმარებელთა რაოდენობის მხრივ. ამ უკანასკნელში კი იგულისხმება, როგორც არსებული დამკვეთისაგან მეტი მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევა, ასევე ახალი დამკვეთების მოძიება საერთაშორისო და ადგილობრივი ბაზრიდან. კომპანია გეგმავს შეთავაზება გაუკეთოს ადგილობრივ ბიზნესს, პროცესების ავტომატიზაციის თვალსაზრისით.

მეიჯერელ საქართველო სხვადასხვა ენაზე უწევს საკუთარ მომხმარებლებს მომსახურებას, სამომავლო გეგმებში გათვალისწინებულია სხვა ენების დამატება და კადრების შერჩევა-განვითარება ამ მიმართულებით.

ხარისხი არის ის, რაც მეიჯერელ საქართველოს ნიშანს და გამოარჩევს ბაზარზე. ხარისხის მუდმივი მონიტორინგი და მისი სრულყოფა, კომპანიის სტრატეგიული მიმართულებაა. მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად, კომპანია ძირითად ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებს იყენებს, როგორცაა მაგალითად თანამშრომლების შეფასება მომხმარებლების უკუკავშირის საფუძველზე, საშუალოდ ერთ მომხმარებელზე დახარჯული დრო, დაყოვნების ხანგრძლივობა და სხვა. განსხვავებული მაჩვენებლების მუდმივი მონიტორინგის საფუძველზე, ყურადღება ექცევა გადახრებს და დროულად ხდება ჩავარდნების გამოსწორება.

სოციალური და გარემოს დაცვითი ღონისძიებები - კომპანიამ ოპერირების პერიოდში სხვადასხვა აქტივობა განახორციელა, რომლებიც მიმართული იყო გარემოსდაცვითი მიზნებისაკენ. სამომავლოდ ამ მიმართულებით კიდევ უფრო გააქტიურება იგეგმება, რაც გამოხატული იქნება ენერგო ეფექტური აღჭურვილობის დანერგვის მიმართულებით, თანამშრომელთა ცნობიერების გაზრდასა და აქტიურად ჩართვაში ბიზნესის მდგრადი განვითარების კუთხით (დასუფთავების ღონისძიება, პლასტმასტის ერთჯერადი ნივთების მოხმარების შემცირება, წყლისა და ელექტროენერგიის ეფექტურად ხარჯვასა და ა. შ.).

კოვიდ-19

2020 წლის დასაწყისში COVID-19-ის გავრცელებამ მსოფლიოს გარშემო იქონია არსებითი გავლენა და ცვლილებები შეიტანა ბიზნეს გარემოში მსოფლიოს გარშემო ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. 2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. COVID-19-ის საზოგადოების ჯანმრთელობისთვის პოტენციურად სერიოზული საფრთხის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომები მიიღო, რაც მოიცავს ტრანსსასაზღვრო გადაადგილებაზე შეზღუდვების დაწესებას, უცხოელი სტუმრებისთვის ქვეყანაში შემოსვლის შეზღუდვებს და ბიზნეს საზოგადოებისთვის მითითების მიცემას, რომ თანამშრომლები სახლიდან მუშაობის რეჟიმზე გადაიყვანონ. 2020 წლის მარტის განმავლობაში, რეგიონალურმა უფლებამოსილმა ორგანოებმა ეტაპობრივად შემოიღეს დამატებითი ზომები სოციალური დისტანცირების გასაძლიერებლად, სკოლების, უნივერსიტეტების, რესტორნების, კინოთეატრების, თეატრების და მუზეუმების და სპორტული დაწესებულებების დახურვის ჩათვლით. საქართველოს მთავრობამ შემოღებული ზომების ეტაპობრივი გაუქმება 2020 წლის მაისის ბოლოდან დაიწყო, მაგრამ 2020 წლის შემოდგომაზე ისევ მოხდა ეპიდემიური სიტუაციის გაუარესება და ისევ მოხდა რიგი ბიზნესების დახურვა. ხოლო 2021 წლის განმავლობაში, კვლავ არასტაბილური იყო პანდემიური ფონი, რომელიც ძირითადად ახალი ტალღების სწრაფად გავრცელებით იყო განპირობებული. შეზღუდვების ნაწილი 2022 წლის დასაწყისშიც ვრცელდებოდა. კომპანიის საოპერაციო და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, სხვა ამჟამად ხელმისაწვდომ საჯარო ინფორმაციასთან ერთად, ხელმძღვანელობა არ მოელის რომ COVID-19-ს ექნება მყისიერი უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

ფინანსური დირექტორი: ირაკლი ბაიაძე

გენერალური დირექტორი: ალექსანდრე მირონენკო

თარიღი: 7 ივლისი 2022

კოვიდ-19

2020 წლის დასაწყისში COVID-19-ის გავრცელებამ მსოფლიოს გარშემო იქონია არსებითი გავლენა და ცვლილებები შეიტანა ბიზნეს გარემოში მსოფლიოს გარშემო ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. 2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. COVID-19-ის საზოგადოების ჯანმრთელობისთვის პოტენციურად სერიოზული საფრთხის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომები მიიღო, რაც მოიცავს ტრანსსასაზღვრო გადაადგილებაზე შეზღუდვების დაწესებას, უცხოელი სტუმრებისთვის ქვეყანაში შემოსვლის შეზღუდვებს და ბიზნეს საზოგადოებისთვის მითითების მიცემას, რომ თანამშრომლები სახლიდან მუშაობის რეჟიმზე გადაიყვანონ. 2020 წლის მარტის განმავლობაში, რეგიონალურმა უფლებამოსილმა ორგანოებმა ეტაპობრივად შემოიღეს დამატებითი ზომები სოციალური დისტანცირების გასამდიდრებლად, სკოლების, უნივერსიტეტების, რესტორნების, კინოთეატრების, თეატრების და მუზეუმების და სპორტული დაწესებულებების დახურვის ჩათვლით. საქართველოს მთავრობამ შემოღებული ზომების ეტაპობრივი გაუქმება 2020 წლის მაისის ბოლოდან დაიწყო, მაგრამ 2020 წლის შემოდგომაზე ისევ მოხდა ეპიდემიური სიტუაციის გაუარესება და ისევ მოხდა რიგი ბიზნესების დახურვა. ხოლო 2021 წლის განმავლობაში, კვლავ არასტაბილური იყო პანდემიური ფონი, რომელიც ძირითადად ახალი ტალღების სწრაფად გავრცელებით იყო განპირობებული. შეზღუდვების ნაწილი 2022 წლის დასაწყისშიც ვრცელდებოდა. კომპანიის საოპერაციო და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, სხვა ამჟამად ხელმისაწვდომ საჯარო ინფორმაციასთან ერთად, ხელმძღვანელობა არ მოელის რომ COVID-19-ს ექნება მყისიერი უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

ფინანსური დირექტორი: ირაკლი ბაიაძე
გენერალური დირექტორი: ალექსანდრე მირონენკო
თარიღი: 7 ივლისი 2022

